

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი №8 - 2020 წელი

თვითმმართველობა

ინფორმაციები

მოზადებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მიხედვით

2020 წლის ბიუჯეტის სრული ვერსია იხილეთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე www.lanchkhuti.gov.ge



პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის კოდი - 06.00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის ბიუჯეტი
723 800 ლარი

პროგრამა 06.01

ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის ბიუჯეტი:
147 000 ლარი

პროგრამის მიზანი - მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამის აღწერა - თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

- ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
- ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება;
- გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;
- დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმარტოვებულ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დაცვის კონტროლი;
- ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის;
- ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
- ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;
- თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:

- 1) ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)
- 2) იმუნიზაცია.
- 3) ცხოველების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა
- 4) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ

პროგრამის განმახორციელებელი – ა.ა.ი.პ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამა 06.01.01

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:
147 000 ლარი



პროგრამა 06.02

სოციალური დაცვა

პროგრამის ბიუჯეტი:
576 800 ლარი

ქვეპროგრამა 06.02.01

ბიკარბონატული ჰელოდალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დანახარებებში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:
38 800 ლარი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული თირკმლის უკმარისობით დაავადებულთათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფა პროგრამული დიალიზის ჩასატარებლად კვირაში სამჯერ, 2019 წლის მაჩვენებლით პროგრამით სარგებლობდა 24 ბენეფიციარი (144 ლარი თითო ბენეფიციარზე).

პროგრამის განმახორციელებელი – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამა 06.02.02

**მრავალშვილიანი ოჯახების
დახმარების პროგრამა**

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:
36 000 ლარი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 35 ლარს. პროგრამით ისარგებლებს ის ოჯახები რომლებიც არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები. პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა ან ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება და სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ასევე შეჭირვებულ მოქალაქეების გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადაზღვევო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება 50%-მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები.

შენიშვნა: ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის თანადაფინანსება, უნაღლო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის არეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

2019 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 438 ბენეფიციარმა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამა 06.02.03

**სამკურნალო და სამოპერაციო ხარჯებით
დახმარების პროგრამა**

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:
92 000 ლარი



ქვეყანაში შემუშავდა და მუშაობს სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ბავშვებისათვის “სოციალური რეაბილიტაციის ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამ მიზნით დაფუძნებულია არასამთავრობო ორგანიზაცია, სარეაბილიტაციო ცენტრი “იანანა”. პროგრამას ერთი მხრივ აფინანსებს ცენტრალური ბიუჯეტი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვაუჩერული პრინციპით. ცენტრს დამატებით ესაჭიროება კომუნალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება ელექტრო-ენერჯის, ბუნებრივი აირის და წყლის გადასახადები, დაფინანსდება ცენტრისათვის ყოველთვიურად ჰიგიენისა და ყოველთვიური მოხმარების საგნების ღირებულება. ცენტრში ირიცხება 24 მზრუნველობამოკლებული ბავშვი.

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

ქვეპროგრამა 06.02.04

**სარეაბილიტაციო ცენტრ “იანანას”
თანადაფინანსების პროგრამა**

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:
13 000 ლარი

